

## აქციის დანართი № \_\_\_\_\_

ქ. \_\_\_\_\_

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

გადასტურებ და ვეთანხმები ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

- აქციის დასახელება: "დაიმატე ინტერნეტი 2"
- აქციის პირობები:

1. "დაიმატე ინტერნეტი 2" აქციის (შემდგომში "აქცია") ფარგლებში, ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების მიმღებ აბონენტებს, შესაძლებლობა აქვთ, შესაბამისი მომსახურებ(ებ)ის სააბონენტო გადასახადის ფარგლებში ისარგებლონ ინტერნეტ მომსახურებით, წინამდებარე "აქციის" პირობებით.
2. "აქციის" პირობები ინტერნეტ მომსახურების ნაწილში ვრცელდება "აქციის" ამოქმედების თარიღისთვის "სილქნეტის" ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების ან სილქფონის (ან სილქ ტვ და სილქფონი ერთად) მიმღები ფიზიკური პირ აბონენტებზე, რომლებიც დაიმატებენ ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებას (ან მომსახურებების კომბინაციას, რომელიც მოიცავს ინტერნეტს) და აღნიშნული მომსახურებ(ებ)ი დარეგისტრირდება ერთ სააბონენტო ანგარიშზე (გარდა სამმაგი/ოთხმაგი და ს1 სამმაგი შეთავაზებისა).
3. მე-2 პუნქტით განსაზღვრული აბონენტები, ინტერნეტ მომსახურების ნებისმიერ პაკეტს მიიღებენ შესაბამისი ანგარიშის ნომერზე რეგისტრირებული სხვა ოპტიკური მომსახურებ(ებ)ის სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში.
4. მე-2 პუნქტით განსაზღვრული აბონენტები, ინტერნეტ მომსახურების ნებისმიერი სააბონენტო პაკეტის არჩევისას (გარდა "ფორმულა 1" პაკეტისა), "აქციის" ფარგლებში მიიღებენ 50 მბ/წმ სიჩქარის ინტერნეტს.
5. მე-2 პუნქტით განსაზღვრული აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ სილქ ტვ მომსახურებით, აქციის ფარგლებში მიიღებენ ერთ თემატურ პაკეტს (გარდა "სილქ სპორტისა"), სილქ ტვ მომსახურების სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში.
6. მე-3 პუნქტით განსაზღვრული "აქციის" პირობები არის პერიოდული და მოქმედებს ყოველ მეორე თვეს, მომსახურების ინსტალაციიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში. აღნიშნული "აქციის" პირობით მომსახურების მიწოდების პირველი ერთი თვე განისაზღვრება შესაბამისი მომსახურების ინსტალაციის დღიდან თვის ბოლომდე პერიოდით, ხოლო ყოველი მომდევნო - ერთი თვის გამოტოვებით - თვის 1-ლი რიცხვიდან შემდეგი თვის 1-ელ რიცხვამდე. მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული პირობების მოქმედების პერიოდი განისაზღვრება შესაბამისი მომსახურების ინსტალაციიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში (უწყვეტად).
7. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სარგებლობს ინტერნეტ მომსახურების ნებისმიერი პაკეტით, გარდა "ფორმულა 1" პაკეტისა, "აქციის" პირობებით სარგებლობისთვის აუცილებელია მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული პირობები გააქტიურდეს ერთდროულად.
8. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სარგებლობს ინტერნეტ მომსახურების "ფორმულა 1" პაკეტით, აბონენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მე-3 ან მე-3 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული "აქციის" პირობებით.
9. იმ შემთხვევაში, თუ "აქციის" პირობით მოსარგებლე აბონენტს არა აქვს გააქტიურებული მე-5 პუნქტით განსაზღვრული თემატური პაკეტი, აღნიშნული თემატური პაკეტის (მათ შორის, სილქ ტვ აფსელ (Upsell) ფუნქციით ან მომსახურების პორტალით) დამატების შემთხვევაში, დამატებულ თემატურ პაკეტებზე "აქციის" პირობები გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ არ არის დასრულებული "აქციის" პირობებით რეგისტრაციის პერიოდი და აბონენტი თავად აფიქსირებს მოთხოვნას "აქციის" პირობებით სარგებლობაზე. თემატურ პაკეტზე "აქციის" მოქმედების ვადა ამოწურება ინტერნეტ მომსახურებაზე "აქციის" მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.
10. "აქციის" მოქმედების პერიოდში არ იზღუდება "აქციის" პირობით ჩართული მე-5 პუნქტით განსაზღვრული თემატური პაკეტის გაუქმების შესაძლებლობა. "აქციის" პირობით გააქტიურებული თემატური პაკეტის გაუქმებისას აბონენტს სილქ ტვ მომსახურებაზე შეეზღუდება "აქციის" პირობები, ინტერნეტ მომსახურებაზე კი გაუგრძელდება მომსახურების "აქციის" პირობებით მიწოდება.
11. "აქციის" პირობებით რეგისტრაციის ან "აქციის" მოქმედების პერიოდში, აბონენტს უფლება აქვს, უარი განცხადოს "აქციის" პირობებით სარგებლობაზე. "აქციის" პირობებით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ან "აქციის" მოქმედების ვადის ამოწურვისას, აბონენტს შეუწყდება აქციით სარგებლობის უფლება და მის სარგებლობაში არსებულ მომსახურებებზე გავრცელდება შემდეგი პირობები: 1. აბონენტს გაუაქტიურდება შერჩეული ინტერნეტ მომსახურების პაკეტის შესაბამისი სიჩქარე და დაერიცხება მისი სტანდარტული ღირებულება. 2. აბონენტს შეუნარჩუნდება აქციის პირობით გააქტიურებული თემატური პაკეტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაერიცხება მისი სტანდარტული ღირებულება.

12. თუ აბონენტს "აქციის" გააქტიურებამდე 3 (სამი) თვით ადრე სტანდარტული პირობებით (მაგრამ არა სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ფარგლებში და არა წინამდებარე აქციის, ან რომელიმე სხვა აქციის (რომელშიც მონაწილეობს თემატური პაკეტი) ფარგლებში) გააქტიურებული ჰქონდა მე-5 პუნქტით განსაზღვრული სილქ ტვ-ის რომელიმე თემატური პაკეტი, აბონენტი, "აქციის" ფარგლებში შეძლებს გააქტიუროს აღნიშნული თემატური პაკეტი მისი გაუქმებიდან 3 (სამი) თვის შემდეგ. აღნიშნული პირობა არ მოქმედებს "აქციის" ძალაში შესვლამდე გაუქმებულ თემატურ პაკეტებზე.
13. "აქციის" მოქმედების პერიოდში აბონენტს არ ეზღუდება ძირითადი მომსახურებ(ებ)ების დროებით შეჩერების უფლება, ამასთან, თუმცა მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოქმედების ვადის ათვლა არ წყდება.
14. "აქციის" მოქმედების პერიოდში ინტერნეტ მომსახურების ყოველთვიური ღირებულების გადაუხდელობის გამო შეზღუდვის შემთხვევაში, აქციის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვადის ათვლა არ წყდება.
15. "აქციის" მოქმედების პერიოდში, "აქციის" პირობებით მოსარგებლე აბონენტის მიერ სილქ ტვ მომსახურების გაუქმებისას, თუ შესაბამის ანგარიშის ნომერზე რჩება მხოლოდ ინტერნეტ მომსახურება, აბონენტს შეეზღუდება "აქციის" პირობებით სარგებლობის უფლება და ინტერნეტ მომსახურების მიწოდება განხორციელდება სტანდარტული პირობებით.
16. "აქციის" მოქმედების პერიოდში, "აქციის" პირობებით მოსარგებლე აბონენტის მიერ სილქფონის გაუქმებისას, თუ შესაბამის საბონენტო ანგარიშის ნომერზე რჩება მხოლოდ ინტერნეტ მომსახურება, აბონენტს შეეზღუდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება და ინტერნეტ მომსახურების მიწოდება განხორციელდება სტანდარტული პირობებით.
17. "აქციის" მოქმედების პერიოდში, "აქციის" პირობებით მოსარგებლე აბონენტის მიერ ინტერნეტ მომსახურების (ან მომსახურებების კომბინაციის, რომელიც მოიცავს ინტერნეტ მომსახურებას) გაუქმებისას, აბონენტს შეეზღუდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება და სილქ ტვ მომსახურების თემატური პაკეტით მომსახურების მიწოდება განხორციელდება სტანდარტული პირობებით.
18. "აქციის" ფარგლებში, მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, მომსახურების ინსტალაციის ღირებულებას მოიცავს შესაბამისი მომსახურების საბონენტო გადასახადი. ამასთან, "აქციის" პირობით რეგისტრირებულ აბონენტს ეზღუდება ამავე პუნქტით განსაზღვრული "აქციის" პირობით სარგებლობაზე უარის თქმის უფლება.
19. "აქციის" პირობებით მოსარგებლე აბონენტს არ ეზღუდება აქციის ფარგლებში ჩართული თემატური პაკეტის ცვლილების შესაძლებლობა (კომპანიაში მოქმედი თემატური პაკეტის ცვლილების პირობების გათვალისწინებით). აქციის ფარგლებში ჩართული თემატური პაკეტის ცვლილებისას აქციის მოქმედების ვადა არ ექვემდებარება ცვლილებას.
20. იმ შემთხვევაში, თუ "აქციის" პირობებით მოსარგებლე აბონენტი განახორციელებს ინტერნეტ მომსახურების პაკეტის ცვლილებას (მათ შორის მომსახურების პორტალის საშუალებით) "ფორმულა 1" პაკეტით, აბონენტს გაუქმდება მე-4 პუნქტით განსაზღვრული "აქციის" პირობა და შეუნარჩუნდება მე-3 ან მე-3 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული აქციის პირობები.
21. იმ შემთხვევაში, თუ "აქციის" პირობებით მოსარგებლე აბონენტი ახდენს სილქ ტვ მომსახურების პაკეტის ცვლილებას "დელუქს HD" პაკეტით, აბონენტს გაუქმდება მე-5 პუნქტით განსაზღვრული "აქციის" პირობა და აბონენტს შეუნარჩუნდება მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული აქციის პირობები.
22. იმ შემთხვევაში, თუ "აქციის" პირობებით მოსარგებლე აბონენტი განახორციელებს სილქ ტვ მომსახურების პაკეტის ცვლილებას "დელუქს HD" პაკეტით, ამავდროულად ინტერნეტ მომსახურების პაკეტის ცვლილებას "ფორმულა 1" პაკეტით, აბონენტს გაუქმდება მე-4 და მე-5 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობები. აბონენტს შეუნარჩუნდება მე-3 აქციის პირობა.
23. იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობით მოსარგებლე აბონენტი, რომელიც ჩართო "აქციაში" პაკეტით "ფორმულა 1", ან განახორციელა მე-20 და 22-ე პუნქტებით განსაზღვრული ცვლილებები და შემდგომ, აქციის მოქმედების პერიოდში, განახორციელებს ინტერნეტ მომსახურების საბონენტო პაკეტის (მათ შორის მომსახურების პორტალის გამოყენებით) ცვლილებას, ასეთ შემთხვევაში მოხდება მე-4 პუნქტით განსაზღვრული "აქციის" პირობის ავტომატურად გააქტიურება.
24. იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობით მოსარგებლე აბონენტი, აქციის მოქმედების პერიოდში 21-ე და 22-ე პუნქტებით განსაზღვრული ცვლილების შემდეგ განახორციელებს სილქ ტვ მომსახურების საბონენტო პაკეტის ცვლილებას, აბონენტს შესაძლებლობა ექნება დაიმატოს თემატური პაკეტი მე-5 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ არ არის დასრულებული აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი და აბონენტი თავად დააფიქსირებს მოთხოვნას აქციის პირობებით სარგებლობაზე.
25. სილქ ტვ და ინტერნეტ მომსახურების საბონენტო პაკეტის ცვლილებისას (როდესაც აბონენტს უნარჩუნდება "აქციის" პირობები), "აქციის" მოქმედების ვადა არ ექვემდებარება ცვლილებას.
26. "აქციის" მოქმედების პერიოდში, "აქციის" ფარგლებში ჩართული სილქ ტვ მომსახურების აბონენტს ეზღუდება ტვ მენიუს (აფსელ (Upsell) ფუნქციის) გამოყენებით "დელუქს HD" პაკეტის გააქტიურების უფლება, ასევე მომსახურების პორტალის გამოყენებით სილქ ტვ მომსახურების საბონენტო პაკეტის ცვლილების შესაძლებლობა.
27. აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება 2017 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

28. აქციის პირობით რეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის ვადა განსაზღვრება აქციაზე რეგისტრაციის პერიოდის დასრულებიდან 60 (სამოცი) დღის ვადით.
29. მომსახურების მიწოდების მისამართის ცვლილებისას, იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, "აქციის" პირობით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი ახალ მისამართზე იმატებს ინტერნეტ მომსახურებას, ახალ მისამართზე შესაძლებელია წინამდებარე "აქციის" პირობებით დარეგისტრირება.
30. "აქციის" პირობით მოსარგებლე აბონენტს, მომსახურების მიწოდების მისამართის ცვლილებისას, ახალ მისამართზე არ გაუვრცელდება ძველ მისამართზე გააქტიურებული "აქციის" პირობები.
31. იმ შემთხვევაში, თუ "აქციის" პირობებით მოსარგებლე აბონენტი, "აქციის" პირობით რეგისტრაციის პერიოდის ამოწურვამდე განახორციელებს მომსახურების მიწოდების მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციას, ახალ მისამართზე შესაძლებელია "აქციის" პირობებით დარეგისტრირება. საამისოდ აბონენტმა უნდა მიმართოს კომპანიას ახალი განაცხადით.
32. იმისათვის, რომ მომსახურების მიწოდების ახალ (შეცვლილ) მისამართზე აბონენტმა ისარგებლოს "აქციის" პირობებით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს 28-ე პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

შენიშვნა: \_\_\_\_\_

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი \_\_\_\_\_

აბონენტი \_\_\_\_\_